



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 23 იანვარი, 2015 წელი

დრო: 14:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები- საქართველო
3. მარინა ჟორდანია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა /დედამიწის მეგობრები- საქართველო
4. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
5. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
6. კავშირი „ეკოტექი“ - ნუგზარ სულამანიძე
7. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. გიორგი მუხიგიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
9. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
10. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
11. ვახტანგ ზარქუა - ვახტანგ ზარქუა
12. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
13. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
14. მარიამ შოთაძე - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. წესდების განხილვა
2. საერთო კრების საორგანიზაციო საკითხები
3. ანგარიში/ძირთადი ასპექტები
4. სავარაუდო კანდიდატების დასახელება
5. სხვა

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 27 იანვარს, პარლამენტში, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში გაიმართება საკომიტეტო მოსმენა, რომელსაც დაესწრებიან პლატფორმის წევრი ორგანიზაციები. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილება „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ წარმომადგენლის მიერ ინიცირებული საკითხი, რომელიც შეეხება საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებას.

შეხვედრაზე წარდგენილ იქნა პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი თემაზე " საქართველოს გაწევრიანება ენერგეტიკულ გაერთიანებაში", რომელიც მომზადდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფის „ენერგეტიკული უსაფრთხოება და გარემოს დაცვა“ –ს მიერ. დოკუმენტის მიზანია საზოგადოებას და გადაწყვეტილებების მიმღებთ წარუდგინოს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში (EC) გაწევრიანების დადებითი მხარეები, შესაძლო რისკები და ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს გაწევრიანების პროცესის გადავადებას. ასევე, წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოების ხედვა და პოზიცია მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ წესდების ცვლილებების წარდგენისას ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: პლატფორმის განვითარების მიმართულებები, შიდა განვითარება, რეგიონალური განვითარება, მონაწილეობა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფორმატებში (სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, შემდგომში „ქართულ - ევროპული პლატფორმა“ და სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმი), სამუშაო ჯგუფების და ქვეჯგუფების მუშაობა და ა.შ. წესდების ცვლილებების თანახმად სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა წარმოდგენილი იქნება 15 კაციანი შემადგენლობით, 12 წევრს ირჩევს კრება ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციებიდან, 3 წევრს კი – კომისია პლატფორმის არაწევრი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან. ორ გარანტირებულ წევრს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და მეწარმეთა/დამსაქმებელთა ასოციაცია.

საერთო კრებაზე გათვალისწინებულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად თანაკოორდინატორმა მესამე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორობის

კანდიდატებად დაასახელა ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“ წარმომადგენელი მანანა დევიძე და საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის ხელმძღვანელი ანზორ დუნდუა. მან ჯგუფის წევრება თხოვნით მიმართა, რომ იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე და სამდივნოს გადაუგზავნონ მათი მოსაზრებები საერთო კრებამდე არა უგვიანეს 2 დღისა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია